საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011834051153020

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

31 / აგვისტო / 2020 წ. **N 01/150895**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც, მის ფუნქციებს წარმოადგენს სახელმწიფო მომსახურების განვითარება ხელშეწყობა, საჯარო სექტორში ინოვაციური სერვისების დანერგვა, მოსახლეობის რეესტრის წარმოება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა, მიგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია და სხვ.

სააგენტო უსასყიდლოდ, აღნაგობის/უზუფრუქტის უფლებებით სარგებლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით, რომლებზეც აშენებულია შენობა-ნაგებობები, სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრებისათვის.

იგეგმება საზოგადოებრივი ცენტრების და შენობა-ნაგებობის საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლისათვის გადაცემა. შემდგომი სამართლებრივი პროცედურის სრულყოფილად წარმართვის კუთხით მნიშნელოვანია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები დარეგისტრირდეს სახელმწიფო საკუთრებაში.

გთხოვთ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მოახდინოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის საზოგადოებრივი ცენტრის (საკადასტრო კოდი - 30.11.32.562) სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების პროცესის დაწყება და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად